№ 127 24 ᲒᲘᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡᲗᲕᲔ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1866—1876 24 ᲒᲘᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡᲗᲕᲔ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ №127

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲝᲑᲘᲗ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲝᲑᲘᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲕᲔᲚᲘᲐᲛᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲐᲠᲢᲔᲛ ᲩᲐᲘᲒᲔᲨᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲢ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ. ᲫᲐᲚᲐᲡᲐᲪ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲘᲪᲔᲛᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ — 8 ᲛᲐᲜ., ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲖᲔ — 4 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 50 ᲙᲐᲞ., ᲗᲕᲔᲨᲘ — 1 ᲛᲐᲜ. ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ — ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ, ᲠᲣᲡᲣᲚᲡ, ᲐᲠᲛᲔᲜᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲡ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ, ᲐᲡᲝᲖᲔ — 1 ᲙᲐᲞ., ᲐᲡᲝ-ᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘᲗ, ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲖᲔ — 8 ᲙᲐᲞ., ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲗᲘ, ᲡᲢᲠᲘᲥ. — 5 ᲙᲐᲞ. ᲓᲐ ᲞᲔᲢᲘᲢᲘᲗ — 4 ᲙᲐᲞ.

ᲗᲣ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲡᲐ.

ᲓᲐᲣᲑᲔᲭᲓᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ, ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡᲐ — „ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ“ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲔ

ᲯᲔᲠ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲠᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲨᲘᲐᲪ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲚᲝᲠᲓ ᲚᲝᲤᲥᲢᲣᲡᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲛ ᲗᲔᲘᲡ 10-Ს ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲠᲐᲤ ᲓᲔᲠᲑᲘᲡᲗᲐᲜ.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲔᲚᲩᲡ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲚᲘᲐᲓᲘᲐᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ; ᲐᲛᲐᲨᲘ ᲪᲮᲐᲓᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲰᲐᲖᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲗ ᲐᲛ ᲓᲐᲣᲑᲝᲚᲝᲔᲑᲔᲚ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲚᲐᲠᲗᲣᲚ „ᲐᲚᲛᲡᲐᲔᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ“ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲡ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲖᲔ.

ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲗᲝ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲞᲐᲢᲐᲠᲐᲕᲔ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ ᲐᲥ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛ ᲐᲚᲐᲒᲔᲑᲘᲓᲐᲛᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲒᲕᲧᲐᲕᲡ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲗ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ.

„ᲣᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲰᲐᲣᲠᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲡ, ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ ᲚᲝᲠᲓ ᲚᲝᲤᲥᲢᲣᲡᲘ, ᲓᲐᲔᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲜᲔ ᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲝᲛᲘᲡ ᲐᲪᲔᲮᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲐᲠ ᲔᲫᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲣᲠᲝᲞᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲠᲚᲔᲘᲝᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ) ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲣᲠᲝᲞᲘᲡᲐᲪ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲐ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲖᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ, ᲔᲘᲗᲝᲛᲪ ᲐᲛ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲐ ᲔᲐᲜᲓᲔᲠᲫᲝᲡᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ. ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, — ᲔᲡ ᲰᲐᲖᲠᲘ ᲐᲠᲪ ᲩᲕᲔᲛ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗ ᲰᲥᲝᲜᲘᲐᲗ, ᲐᲠᲪ ᲛᲔ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲔᲥᲜᲔᲑᲐ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲣᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲨᲘ ᲒᲐᲔᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲐᲖᲠᲘ, ᲔᲘᲗᲝᲛᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲖᲔ ᲒᲕᲔᲭᲐᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲐᲚᲘ...

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲔᲪᲐᲓᲐᲗ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲥᲕᲔᲕᲘᲗ ᲛᲧᲝᲤᲘ, ᲘᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲨᲔᲬᲣᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲢᲐᲜᲯᲣᲚᲘ ᲡᲚᲐᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘ. ᲗᲣ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲠᲘᲒᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲮᲝ ᲙᲐᲠᲒᲘ; ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲓᲐ ᲛᲔ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲫᲚᲐᲠᲘ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲔᲧᲣᲜᲝᲗ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲫᲛᲬᲝᲕᲔᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲘᲚᲔᲑᲡ...

„... ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲛ ᲛᲣᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲡ ᲰᲐᲖᲠᲘ:

„1) ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲰᲡᲣᲠᲓᲐ ᲛᲘᲡᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲝᲑᲘᲡ, ᲛᲝᲮᲓᲐ.

„2) ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ, ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲡ ᲡᲚᲐᲕᲘᲐᲜᲣᲠ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ (ᲑᲝᲡᲜᲘᲐᲨᲘ, ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲰᲔᲠᲪᲔᲒᲝᲕᲘᲜᲐᲨᲘ) ᲘᲡᲔᲗᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲘᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜᲪ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲡ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ.

„3) ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲛᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ (ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲐ) ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲝᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲡ ᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲡᲘᲜᲘᲓᲘᲡᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ“

ᲐᲘ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲰᲐᲖᲠᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲡᲔ ᲐᲚᲔᲚᲔᲒᲔᲑᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲔᲣᲠᲝᲞᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲢᲔᲮᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲔᲚᲘᲐᲜ.

ᲐᲥᲔᲓᲐᲛ ᲪᲮᲐᲓᲐᲗ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲡ ᲐᲛ ᲯᲐᲛᲐᲓ ᲝᲛᲘ ᲐᲠᲐ ᲰᲡᲣᲠᲡ ᲓᲐ, ᲗᲣ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲐᲓᲔᲪ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲨᲕᲔᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲘᲛᲔᲓᲔᲐ.

ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲗ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲐᲛ ᲘᲛᲔᲓᲡ,—ᲔᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲜᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲐᲜ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲡ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲓᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡᲐ (ᲝᲠᲘ ᲗᲕᲘᲡ) ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 19 ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲔᲑᲐ; ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲠᲩᲔᲜᲔᲜ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘᲓᲔ ᲔᲥᲜᲔᲑᲘᲐ ᲙᲔᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ; ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲘᲥᲛᲐᲓᲔᲜ ᲛᲘᲘᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲣᲛᲝᲓ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲠᲘᲒᲓᲔᲡ, ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲠᲢᲐᲛᲓᲔ ᲐᲜ ᲐᲞᲠᲘᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲔᲗ. ᲓᲐ ᲛᲐᲜᲐᲛ ᲑᲔᲔᲠᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲩᲐᲘᲔᲚᲘᲡ, ᲑᲔᲔᲠᲯᲔᲚ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲜᲓᲘ „ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲖᲔ!!.“

ᲡᲐᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲦᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲔᲜᲜ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲠᲩᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲖᲔ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲔᲑᲖᲔᲓᲐᲪ ᲰᲥᲝᲜᲘᲐᲗ ᲡᲯᲐ ᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲔᲔᲢᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲝ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲡ 15—20 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲛᲓᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ᲗᲔᲗᲠᲨᲘ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝ.

***

ᲔᲠᲗᲘ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ. ᲣᲛᲪᲐᲜᲔᲡᲘ ᲐᲙᲝᲜᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲜᲐᲨᲕᲘᲚᲔᲕᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲢᲔᲠᲔᲐᲙᲝᲤᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲨᲘ ᲡᲬᲐᲚᲔᲑᲡᲓᲐ; ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲛ ᲬᲐᲡᲣᲚᲐ ᲡᲐᲓᲦᲔᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲐ.

***

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲧᲘᲓᲚᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔ-IX ᲢᲝᲛᲘ ᲛᲐᲪ ᲛᲝᲘᲜᲓᲝᲛᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, ᲔᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲪᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲪᲣᲓᲘ-ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲩᲐᲘᲤᲚᲘᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲞᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲬᲧᲜᲐᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗᲥᲛᲔᲓᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲔᲪᲮᲐᲓᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲜᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡᲝᲗ ᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲐᲓᲔᲪ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ-XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲓᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘᲐ, ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲜᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲗᲥᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠ

პოლკი მილიცია შეკრიბოს, და პირობაც მისცა, რომ ამ პოლკში ერთი მოლალატე და ფანატიკი არ იქნებაო. აძ გვარიევ წინადადება ჩაჩნებსაც წარუდგენიათ. ვილამაც ჰკითხა: რითი შეგიძლიანთ დაგვარწმუნოთ, რომ თქვენ მართალს ამბობთო? ამ ინგუშმა უპასუხა, რომ მილიციაში ყველა შეძლებულ და ცოლშვილიან კაცებს მიეღებოო და თუ გიღალატებენ, მაშინ იმათი ქონება და ცოლ-შვილი მჰართებლობის ხელში იქნებაო და როგორც ენებება, ისე მოეკცეთაო.

„მე ესე კი გავიგონეო, ათავებს ბოლოს კორრესპონდენტი, მაგრამ ზოგიერთები, რომელნიც კარგათ იცნობენ ქაქასიის მთიულებს, მარწმუნებდნენ, რომ იმათ მაგრე ადვილად კაცმა არ უნდა დაუჯეროსო.“

*
* *

ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ მართველი ქვევითა დრუჭინის შევსება ათას კაცამდინ უნდათ-მეთქი (ამ ჟამად დრუჭინაში მხოლოთ 400 კაცი ითვლება) და ამიტომ მსურველები გამოითხოვეს-მეთქი. ახლა ჩვენ შევიტყეთ, რომ ჯერ-ჯერობით ხსენებულ დრუჭინაში ჩაწერის მსურველნი ორმოც-და-ათ კაცზე მეტი არ გამოჩენილა.

წერილი რედაქტორთან

—

შფალო რედაქტორო! „თფილისის მოამბეში“ (№ 252) მე წავიკითხე უფ. სემიგალოვის პასუხი იმ შენიშნვაზედ, რომელიც იყო დაბეჭდილი თქვენს პატივცემულ გაზეთ „დროების“ მე-118 ნომერში ხიდისთავის სოფლის მკლავზე; ვითომც უ. სემიგალოვს, პოლეების ჟურნალის კოპიების მიცემის დროს, არ შეეკრიფოს სოფლის მკლის სასარგებლოთ ფულები და ცალკე ხელის-მოწერით შეეკრიფეო.

მე დავამტკიცებ ალაგობრივ, ხიდისთაეში, თავის დროზე, როდესაც საქმის განხილვა იქნება, რომ უ. სემიგალოვმა და იმასთან განუშორებელმა სოფლის მწერალმა დ. ჯ— მა ნამდვილათ შეკრიფეს ხსენებული ფულები, ყოველს პოლეების ჟურნალების კოპიოს მიცემაზედ სამ-სამი აბაზი. აძაში იყო ორი შაური მკლის სასარგებლო და დანარჩენი ღმერთმან უწყის, მაგრამ ისიც გამოჩნდება საქმის განხილვის დროს.

მართალია, ცალკე ხელის-მოწერით შეკრიფა რვა თუმან ნახევარი; მაგრამ ამოდენიე უნდა იყოს, ან ცოტა მეტი თუ ნაკლები, ხიდისთაისა და წედისის მამულებზე პოლეების ჟურნალის კოპიების მიცემის დროს შეკრეფილი ფულები მკლისთეის. ესეც გამოჩნდება ცხადათ საქმეების განხილვით და თუ სოფლის მწერალიც სემიგალოვის გამო უარს იტყვის არავისთვის გამომირთმეეიაო, მაშინ—წარუდგებიან იმას პირის-პირ ის გლეხნი, ეისთვისაც გამოურთმეეია ზემო-ხსენებული სამ-სამი აბაზი.

უ. სემიგალოეი ანბობს, რეა თუმან ნახევარ გარდა, მომეტებული ჩემი საკუთრებიდამაც დეხარჯეო; საქმით კი არასჩანს ხუთის თუმნისაც, ძალიან ცოტა ეტყობა გაკეთება მკლას; ნასყიდ მასალასაც შეკრეფილს ფულებში აჩეენებს; მაშ რაღაში დაუხარჯავს თავის საკუთრებიდამ მომეტებული, თუკი დურგლების სადილ-ვახშამიც იყო ყოველ დღე სოფლელებისა რიგით?

ძვალად ანბობს უ. სემიგალოეი, რომ „თხუთმეტი შეგირდებისათვის საკითხავი წიგნები, დოსკები და მთელი წლის საკმაო ქალალდი, კარანდაშები და სხვანი ცამეტის მანეთისა მიყიდნიაო იმ შეკრეფილის ფულებითო.“

მიკვირს რათ დავიწყებია უ. სემიგალოეს, რომ ცამეტი მანეთისა კი არ იყო, სულ შვიდი მანეთისა და ორი შაურისა იყო, რომელიც უანგარიშა აქაურს მებატონეს დ. მ. და ამანვე ეს შვიდი მანეთი და ორი შაური გადუხადა სრულებით თავის საკუთრებიდამ პირის-პირ სემიგალოეს შაგირდების სასარგებლოდ.

დანარჩენ სიტყვებზე პასუხს უგებ უ. სემიგალოეს, რომ იმის წასელის დროს, თუ კი დურგლების ფული ჩაბარა საზოგადოებიდამ ალმორჩეულს Iვანე Aმბრიაშვილს, განა არ შეიძლებოდა ანგარიშიც იმისთვის ჩაებარებინა, რომ ანბობს „ანგარიში ეისთვის უნდა ჩამებარებინა შეკრეფილი ფულებისაო და დახარჯულისაო?“

მს საქმე რომ 1873 წლიდამ აქამდე იყო დარჩენილი და გამოუცხადებელი, აი რისთვის: ჩვენ ეელოდით ჯერ ისეე უ. სემიგალოეს, რომ შეასრულებდა თავის სიტყვას და მკლაც გაკეთდებოდა; მერე ხიდისთავის საქმეების განხილვას მეჭეეს ოტდელენიისაგან ალაგობრივ ხიდისთაეში; მაშინ გამოჩნდებოდა სუყეელა ცხადათ.

სხეებრ რაიცა შეეხება უფ. ფანიეისა და Aნტონ Fურცელაძის სიტყვებს, დაბეჭდილთ გაზეთ „დროების“ მე-121 ნომერში, ისინი არიან ერთი და იგიეე რაც გამოუთქვამს უ. სამიგალოეს, რომელსაც ემოწმებიან არა სიმართლით, მხოლოდ მეგობრობით და უცხადებენ ჩვენ გარდა მადლობას მკლის ზრუნეისათვის.

Fფალთ ფანიეს და Fურცელაძეს უთქვამს: „შეგროვდა 85 მანეთი, რომელიც შემოიტანეს უმეტესი ნაწილი თეით სეიგალოემა და ჩვენაო.“

Fკეთუ ჰეFმარიტებით ამ შეკრეფილს ხიდისთავის მკლის სასარგებლოთ ფულებში მიეღიათ მონაწილეობა იმათაც, კარგი იქნებოდა, რომ ისიც ეთქვათ სახელდობ: რაოდენი შესწირეს ამ ჩვენ მკლას, რომ ჩვენც გამოგეეცხადებინა გულითადი მადლობა ო. ზ. ფანიეისა და Aნტონ Fურცელაძისათვის, ეგრეთვე უ. სემიგალოეისთვისაც.

დასასრულ კიდევ ვიტყვი: ყოველი სიმართლე და სიმტკუნე გამოჩნდება ადგილობრივ ხიდისთაეში მაშინ, როდესაც საქმეები განიხილება, როგორც მკლისა ეგრეთვე № 119 „დროებაში“ დაბეჭდილის დაყოლნილ მამულებზედ.

Gთხოე, უ. რედაქტორო, ეს ჩემი პასუხი მოიხსენოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „დროებაში“ და აცნობოს „თფილისის მოამბემაც“ უ სემიგალოეს.

ხიდისთაველი

18 ნოემბერს

„დროების“ კორრესპონდენცია

სოფ. საგარეჯო, 13 ნოემბერს. ამას წინათ მე მომიხდა საგარეჯოს სასოფლო სასამართლოში შესელა; აქ რალაც ხალხის ყრილობა იყო; ზოგი იქით კუთხეში იდგნენ და რალაზედაც ყაყანებდნენ, ზოგი აქეთკენ ჩხუბობდნენ, მხოლოდ მსაჯულები ისხდნენ სკამებზედ და მამასახლისი ბუხრის ქუდით ხან გაიელიდა და ხან დაჯდებოდა და დასცქეროდა ერთ აყროლებულს ძროხის არტალას და მის თავს, რომლებიც ეწყო თახჩაში.

შეეიტყე, რო ერთ საწყალ ღარიბ კაცს მოეპარა ძროხა ფრიად მდიდარის, თფილისში მოსამსახურე ჩინოენიკისთვის, რომელსაც საგარეჯოში შეუძენია ბლომათ გლეხების მამული და ამ მამულში ჰყოლია ძროხები. მლეხს წაუყეანია ძროხა მინდორში და ფარცხის დროს დაუკლავს. სუდში შეადგინეს აქტი. სხვა-და-სხვა ხალხისა და ბრალდებულის ჩვენებითა, და გაგზავნეს მთავრობასთან.

სხეათა შორის, სუდშიეე იყვნენ მოწვეულნი სოფლიდგან ამორჩეულნი ექსი კაცი, რომლებსაც ჰქონიათ საზოგადოებიდგან მინდობილი შკლის შენობის მზრუნეელობა; აქ გამოცხადებულნი იყვნენ ხუთნი, რომელნიც ერთგულად შესდგომოდნენ საქმეს და სურდათ, რომ იმათ საქმეში მონაწილეობა მიეღო მამასახლისს; მაგრამ ეს იმათ სრულიათ ყურს არ უგდებდა და რაღაც ღრმა ფიქრში იყო წასული. ნუ გეგონებათ, რო ის ბრალდებულის საცოდაობით ყოფილიყეეს დაფიქრებული; არა, ის ფიქრობდა სადილზედ, რომელიც მზადდებოდა მწერლის სახლში.

Aმორჩეულთ ბევრი მოსაზრეს, მაგრამ მამასახლისმა უთხრა:

— თქვენ სულ აგრე იცით, მაგრამ ასრულება ძნელია; რა უშავს, რომ შკლაში ცივა, სულ იმისთანა სახლებში არ არიან დაზდილები ჰი ბიჭები? როგორც იყეეს, იოლათ უნდა წაეიდნენ, თუ არა და რა მეშკოლება, სადა მცალიან მაგაებისთვინა; საქმეებს რომ მოერჩები, მერე მოეყეები ნელ-ნელა და შკოლას ავაშენებინებ ხალხს.

— რას ბრძანებ, მამასახლისო! მანამ ნელ-ნელობით შკოლას ავაშენებდეთ, ჩითაეიანთ სახლებში შეილები სიცივით ამოგეიწყდება. სახლის პატრონს მაინც დავავალოთ, რო რაც ფარღალალები აქეს სახლს, ისინი ამოამსოს და ჩვენც შეშას ნუ მოვაკლებთ, და მგონი, მაშინ კი დათბეს.

— მე მაგაებისა არა ეიცი რა, ეგ თქვენა და ეგ ჩითაეიშეილი, შეშაც იმათ გაუტანოთ, ეისიც შეილები შკოლაში სწაელობენ.

— რას ამბობ, მამასახლისო! თუ ღმერთი გწამს, თქვენ ეშაყვედ თავს არ გამოიდებ, სხვა-ვინ გამოიდებს; თუ შენ არ დააწუხებ შეშის მოტანას, ეისიც ეალი არის, ეის რას გაუგონებენ.

— ქარგი, იქით კვირას შეიკრიბენით კიდეეა და მაშინ ეიფიქროთ; ეხლა მე არა მცალიან.

Gამოეა მამასახლისი და გასწეეს იქ, სადაც გაციეებული დედალი ელოდა. Aკორჩეულნი ერთმანეთში:—ეაი შენს მტერს, მაგას ჩვენი შკოლის დარდი არა ჰქონდეს!

ამ დროს მე მიეედი და კედელზედ გაკრულ ქალალდს დაეწყე კითხვა; ერთ გლეხმა მითხრა: ეს ხორცისა და ქონის ტაქცაა. მე ეკითხე:—რატომ სხვა საეაჭროსი კი აღარ არისმეთქი; მიპასუხეს:—ეგეც ჯიბრის საქმეა, თორემ ეგეც არ იქნებოდა; მამასახლისს ძროხის უკები აღარ გაუგზაენეს და თუმცა მამასახლისმა გზარები ბეერჯელ გამოუგზაენა და თხოულობდა, მაგრამ ბაზრელებმა უარი უთხრეს. ამის ჯიბრით მამასახლისმა ძროხის ხორცი ლიტრა ექვს შაურათ დააწესა, კამეჩისა აბაზათ, ცხეირისა ცხრა შაურათ; თუ ეს ასე არ იყეეს, რატომ სხვა რამეებს კი არ დაადო ტაქცა, როცა აქ სულ ყეელაფერს მამა-სისხლათ ჰყიდიან: საპონს გირვანქას აბაზათ, შაქარს—ექვს შაურათ, კარტოფილის სანთელს—ორ აბაზათ, ქიშმიშს აბაზათ, და სხეებს ერთი-ორად!—მაგითი მამასახლისი ბაზრელებს რას გამოაჯაერებს? Iსინი საქონელს აღარა ხოცაეენ, ხალხი კი დიდ შეეიწროებაშია უსაკლაოდ, აბა გაუგზაენონ სუკები, თუ მაშინ ტაკცა არ გამოცვალოს!

Uჰაუჰა

უცხო ქვეყნები

ომის ამბავი. რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ რუსეთის სამხრეთი არმიის სარდალი დ. თ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე Uფროსი ამ თვის 19-ს გამოსულა პეტერბურღიდან ქიშინეეს, სადაც ამ სამხრეთი არმიის უმთავრესი კვარტირა არის დანიშნული.

— თ. ბისმარკს გამოუცხადებია, რომ თუ ეინიცობაა, რუსეთსა და Oსმალეთს შუა ბრძოლა მოხდაო, Gერმანია ეიცდება, რომ ამ ბრძოლაში სხვა არც ერთი სახელმწიფო არ გაერიოსო; და ამისათვის, თ. ბისმარკის ჰაზრით, Eეროპამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროსო, რომ რუსეთსა და Iნგლისს შუა უკმაყოფილება და უთანხმოება არ მოხდესო. „Yოველს შემთხვევაში, იქნება ომი თუ არა, გაერეეა ამ ომში Iნგლისი თუ არა, Gერმანია მაინც ომს გარეშე დარჩება და თავის სამხედრო ძალით არც ერთს შებრძოლ-მხარეს არ მოეხმარება.

— „მოსკოვის Uწყებებში“ დაბეჭდილია, რომ სამხედრო სამინისტროს ამ ჟამად 84 სამხედრო ღოშპიტალი აქეს სრულებით დამზადებულია, თითო ღოშპიტალში 630 კაცი დაეტეეაო, ასე რომ ყველაში 52,000 ავათმყოფი კაცი შეიძლება მოთაესდესო.—მეორე რუსული გაზეთი გვაცნობებს, რომ Dონის ყა-

ზახებიდამ, რუსეთს ომიანობის დროს 150,000 კაცის შეკრება და გამოყვანა შეუძლიაო.

—

— ზოგიერთს უცხო ქვეყნის გაზეთებში დაბეჭდილია დაახლოებით ანგარიში ოსმალოსა და რუსეთის სამხედრო ძალისა, რომლიდამაც ეტყობაო, რომ ომიანობის დროს ოსმალოს წინააღმდეგ შემდეგი ჯარები იქნებიან: ჰერცოგოვინაში და ალბანიაში (ჩვენოგორიელებით)—30,000 კაცი, ბოსნიაში—4,000, სერბიაში—80,000, საბერძნეთის სამზღვარზე—200,000, რუმინიისკენ—52,000 და რუსეთის მხრით—150,000, სულ 376,000 კაცი. ამას თვითონ იმის ქვეშევრდომები აჯანყდებიან და წინაღუდგებიან თავის მმართებლობასაო.

ᲒᲝᲠᲘᲓᲐᲛ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ *)

(მგზავრის შენიშვნები)

ასე და ამ გვარად სადილის შემდეგ, ოთხ საათზე ახირებულ სიცხეში ისევე გზას ვადიქით. ცხინვალიდგან გზა ლიახვის ხეობაში მხარ მარჯვენიე მიდის. ამ ხეობაში ბუნება მშვენიერ სურათებს წარმოადგენს, ბევრი კარგი სოფლები მდებიარობს, ყოველიე საჭიროებით შემკული, სახნავ-სათესი მამულებით, ბაღებით, საძოვარით, ტყით, ამოდენა მდინარე მშვენიერი თვისების წყალით, სავსე ათას ნაირ თევზებით და სხვ. და სხვ.; ერთის სიტყვით ბუნება მდიდრულად არის შემკობილი, მაგრამ ხალხი, რომელსაც თითქმის ცხვირ წინ უწყვია ყოველიე მისი ცხოვრების საჭიროებანი, ნაცვლად იმისა რომ ამ შემთხვევით ისარგებლოს და შეიძინოს რამე, ესენი უფრო ზარმაცობენ.

სხვათა შორის, შესანიშნავია აქ ლიახვის მარცხნივ ის ბუნებითი საყინულეც, რომელიც ამ გაზეთში შარშან იყო დაწერილებით აწერილი. აგრეთვე მარჯვნივ სოფ. თამარაშენი, რომელიც ამ ბოლოს წლებში გაითქვა თავის ბარბაროსული ხასიათით: აქ ერთმა გლეხკაცმა ხანჯლით ერთს მაჩაბლის სახლში დედა და ქალი მოკლა, ერთს მაჩაბელს თავის მოსამსახურე ბიჭი—ოსი ღამე შეუარდა, ჯერ მოკლა და მერე ცეცხლი წაუკიდა ქვეშსაგებში, მითომ იმ აზრით, რომ ცეცხლში დამწვრად მიეღოთ; ამობენ, მითომ ეს ოსი მოსყიდული ყოფილიყოს. ამ სოფელშივე ცხოვრებს ის გამოჩენილი მაჩაბელიც, რომელმაც ორი ციცშვილი ერთათ მიაწვინა; ეს მაჩაბელი ჯერ ისევ ყმაწვილი კაცია, სახე სრულებით არ უმტკიცებს, რომ ის ამ გვარი ბოროტების მომქმედი იყოს.

—

ცხინვალიდამ დაწყობილი ჭირნახულის მოსავალი ამ ხეობაში კარგია, სოფ. ქვეხამდე ერთნაირი მოსავალია. ამ სოფლიდგან (ცხინვალიდგან ათ ვერსზეა) ეს გაშლილი ხეობა უეცრად ეიწროვდება და მაღალ მთებში მხოლოდ წყალს გამოუტანია თავისთვის გზა.

ეს სიცხისაგან მოხარშული ხალხი (ექვსი ცხენოსანი ვიყავით) რამდენიმე ხანს ვისვენეთ ამ ვიწრო ხეობაში, ამ უშველებელმა მთებმა მზის სხივებისაგან დაგვფარა, სიომ შემოგვკრა და გაგვაგრილა; კმაყოფილების ნიშნად ქუდები დავიხადეთ და ამ გრილ ჰაერს ხარბად დაუწყეთ ყლაპვა. ნახევარ საათს უკან წინ შემოგვხედენ ოთხიოდ კაცი რაჭველებს აკიდებულ გიდელებით, რომელთაც თფილისისაკენ მიუხაროდათ; როგორც შევიტყე, რაჭველებს ამ გზით უფრო ემარჯვებათ ქართლში ვადმოსელა. უწინ ამათთვის ეს გზა ძრიელ საშიშო იყო, რადგანაც ოსები განგებ უსაფრდებოდენ და შეუბრალებლიე ცარცვავდენ; ეხლაკი გულდამშვიდებულნი დადიან.

ნახევარი საათის დასვენების შემდეგ, ჩვენ ისევ გაუდექით ჩვენს გზას. ვერ წარმოიდგენთ ამ ვიწრო ხეობაში რა სანაქებო ყანები, ქერები და სიმინდი დავინახეთ. ამ სურათმა ძალიან გაგვაკვირვა, რადგანაც მთელი დღე მოვალნი მხოლოდ აქ შევხვდით ასეთ საგანგებო ჭირნახულს, რო ცხენოსანი კაცი შიგ ვერ გაატანდა, და რამდენიც ზევით-და-ზევით შევყურეთ, უფრო-და-უფრო საუკეთესო მოსავალია.

გზაზე თითქმის ყოველ ვერსზე მშვენიერი ციე-ციური წყაროები შემოგვხვდა, ყოველ წყაროსთან პატარა ფარდულებია აშენებული მგზავრის დასასვენათ და ერთი ხის ჯამიც წყაროს სასმელათ გვერდზე ძევს.

—

ამ გვარად მაღალნი ექვს საათზე ჰაეასაც მივედით. ორ ცხენოსან ოსს დავეწიენით, ერთმა რუსულად მოგვცა სალამი და ბოლოს აგვიხსნა, რომ ეს მამა ჩემია და მე თფილისში სახელოსნო შკოლაში ვაბარიეარო, აგერ სამი წელი იქნება და ჩქარა კარგი სლესარი გამოვალო და სხვ. ამ ბაასით ერთს საათს უკან სოფ. ღვწესაც მივედით და რადგანაც ბინდმაც გვისწრო, ღამის სათევათ აქ დავრჩით.

ამ ერთ დღეში თითქმის სამოცამდე ვერსი გავიარეთ და რაღა თქმა უნდა, რო კარგა შევილახენით, ჩამოვედით ცხენებიდგან და იქვე ერთ სახლის წინ ლიახვის პირზე ნაბდები გავშალეთ და ზარმაცათ წამოვწექით, და ვიწყეთ გარეშემო ბუნების მშვენიერებაზედ ცქერა. ცოტა ხანს უკან მშვენიერად დასუქებულ და დამაძღარ ძროხებმა ჯიქნებ დატენილებმა გამოიარეს ხიდზე და მძიმეთ მიადგამდენ ბიჯს შინათკენ; შესანიშნავია, რომ ეს ძროხები თავისუფლად დადიან საძოვრად ყოველის უმწყემსოთ, მხოლოდ დილით სოფელ კი გააცილებენ და შემდეგ თვითონვე მიდიან მთებში, ვინ იცის რამდენ მთას გადავლიან და შემდეგ დამაძღარნი მზის ჩასვლისათანავე ჩამოდიან სოფელში. ამ გვარად მთელ ოსეთში არსად არა ჰყავს ნახირს მწყემსი....

შევხვედით და თორმეტამდე ოსის დედაკაცი გუდურებით დაზვეპილნი მოდიან; ამათმა საკოდაობამ გული შემიწრუა; ახლა გუდურა გუდურაც ჰქვიან, წარმოიდგინეთ ერთი საჯენი სიგრძით შეშა გარდი-გარდმოკიდებული და იმდენი რო არა მგონია ჩვენმა თფილისის მუშებმა აიკიდონ; მუშებს კურტანი მაინც აქვსთ და წელს არ ატკენთ, ესენი კი ფეხშიშველა ფეხით ცარიელ წელზე ამოდენა საპალნეს იკიდებენ და მოდიან ქარავნიეით დამწკრიეებულნი.

შემდეგ ამისა შევიტყე, რომ ამ სოფელში ერთი შესანიშნავი სასუნებელი ალაგი არისო; მაშინათვე გავიძალე იასაული და მიველი ამ სასუნებელ ალაგთან, სადაც შემდეგი წარმომიდგა:

—

მთის ძირში, ფერდობში, ცოტა თი ასე, რო არსაიდგან ჰაერი არ შედის და მხოლოდ ამ ბანის შუაგულში ერთი კვადრატი ტკეცლისოდენი ფანჯარა აქვს დატანებული, რომელიც სიპი ქვით იხურება. რაც უნდა დიდი თოელი მოვიდეს, ამ ალაგზე თოელი თავს არ იჭერს, დნება. როდესაც სუნვა გინდათ, ქვას ახდით თუ არა, მაშინათვე რაღაც მძიმე სუნი გეცემათ; სუნვის დროს ცხვირში ისეთ ნაირათ გაგწვავთ, თითქოს ზელცერის წყალი დაგელიოთ. მაგრამ ხუთს წამსაც ვერავინ სძლებს, მაშინათვე ათრობს და უგრძნობლიე ხდის. ამ ორი წლის წინათ აქ ერთი ოსი მოსულა პატარა ლიახვის ხეობიდგან, ტიკები მოეტანა ამ ტალახის წასაღებათ, მითომ შიგ უნდა ებანათ; მაგრამ რა კი არ იცოდა ამ ტალახის თვისება და ძალა, ჩაყუდებულიყო შიგ ამოსაღებათ არ გაიარა ხუთმა წამმა, მაშინათვე დაბნიდა, დიდი წვალების შემდეგ ძლივს ამოყო საწყალმა თავი და იქვე დაბნედილი ეგდო და იმავე დღეს საღამომდე თქვენი ჭირი წაეღო. მაზრის ექიმის უფ. საკოევის გამოკვლევით, ტალახში სხვათა თვისებათა შორის ძრიელ ბევრი ნახშირმჟავე (углекислота) ურევია, რომლის გამოც ასე სწრაფად ბნედამს კაცს.

ამ აბანოს ბევრი მუშტარი ჰყოლია; ოსებმა მიამბეს, რომ ძალიან ბევრნი მოდიან აქ სასუნებლათაო იმერეთიდგან, თფილისიდგან და სხვა ალაგებიდგანო; ბევრს ბოთლებითაც თან მიაქვსო. მაგრამ, რადგანაც ამ ნახშირ-მჟავის გაზი კაცს ათრობს, ამის გამო დროებით კაცს ყოველ ტკივილის გრძნობას უკარგამს, და სხვა არაეითარი სარგებლების მოტანა არ შეუძლიან, და მართლაც უფრო მომეტებული ნაწილი ქარისთვის და თავის ტკივილისთვის ხმარობენ. აქაური მცხოვრებნი ხო რაღა თქმა უნდა, ფჩხილიც რო წამოსტკივდეთ, აქ მორბიან სასუნებლად.

რო კარგა შელამდა, ჩვენმა მასპინძლებმა — სუდია-მამასახლისებმა გვითხრეს, რომ ოთახი მზათ არისო; ცოტა ხანს უკან ერთს ბალკონიან სახლში ვიყავით წამოჭიმულნი. მახშმის თაღარისგაც შეუდგნენ; ცოტა შევნაყრდით და განსვენებას მივეცით თავი.

—

მეორე დღეს, საათის ხუთზე, მშვენიერი დილის სიოზე ფეხით გაუდექით გზას, რადგანაც მატარებელი სასიამოვნო დილა იყო; წარმოიდგინეთ: აქეთ-იქით მაღალი მთები აყრილი ტყით, მთის წვეროებზე მზის სხივნი ახლად გაფენტულნი, ფერდობზედ მწვანეთ მობიბინე ყანები და ათას ფრად აყვავებული მცენარეები, და ამას ყოველსათანავე შუაზედ მომჩქეფარე და მოხმაურე ლიახვი თითქო ბანს აძლევდა ამ შემკობილ ბუნებას და ასდიოდა ოშხივარი. ბევრგან ისეთ ყვავილებს შევხვდებოდით, რომ გიორგიები იმასთან ღმერთმა შეარცხვინოს. ამ გვარად გართობილნი, ვიდრე მუხლებმა არ გვაგრძობინეს დაქანცულება, ცხენებს არ ვკითხულობდით, მერე კი შევსხედით და გავქუსლეთ.

ცოტა ხანს უკან წინ შემოგვხვდნენ რამდენიმე ცხენოსანი ოსები; დაგვინახეს თუ არა, მარდათ ისკუპეს ცხენებიდგან, დამწკრიედნენ ეს მშვენიერი წამოსადეგი ვაჟკაცნი და ქუდახდილებმა თავ-მდაბლად სალამი მოქცეს. ამ გვარი ზრდილობა სხვა ოსებში არ მინახავს. შემდეგ ამისა სხვა ორმოციოდ ოსები შემოგვეყარნენ გუდებ-აკიდებული და წინ სარდალიეით იასაული მიუძღოდათ; ეს საცოდაეები თურმე ბორჯომიდგან რო ჯავახეთის ახალქალაქში გზა გაჰყვათ, იქ მიდიოდნენ სამუშაოთ; როგორც შევიტყე, ბორის მაზრაზე თეეში სამას-ორმოც-და-ათი კაცია მიწერილი; მუშაობა ხუთ თვემდის გასტანს; ამ ჟამად ვიდრე სიცივეებს დაიჭერდეს, მთაში მუშაობდნენ და შემდეგ ბარათ ჩამოველენ. ეს გზა ბორჯომიდგან მთას გადაელის, ბარალეთის პირ-და-პირ გადავა და ამ სოფლიდგან ოც-და-ხუთ ვერს ვაკეთ გაეელის, ახალქალაქამდე, და აქედგან ალექსანდრეპოლამდე.

—

ერთს საათს უკან ერთს მჟავე წყალს მივატანეთ, მაგრამ ისე ძრიელ მოსაწონი არ იყო, რკინა ძრიელ ბევრი ერია, ასე რო თითო სტაქნის მეტი ვერ დავლიეთ. ამ წყლის გარდა ბევრი მშვენიერი ყინულიეით წყაროები შემოგვხვდა, თავის ფარდულებით; ამასთანავე გზის პირებში ბევრგან თოელის ზვავებიც ვნახეთ. ამაობაში სოფ. ქოშკაშიაც მივედით.

როგორც ზევით მოგახსენეთ, ქვეხვიდგან მოკიდებული ღვწემდე სადგებო მოსავალია და ყანებიც სამკელათ შემოსული იყო; მაგრამ ამ უკანასკნელ სოფლიდგან დაწყებული ქოშკამდე ყანები ჯერ შემოუსვლელი იყო, ასე რო ჯერ თავთავი არ დაესრულებინა, და არც ისე საქები მოსავალია, რადგანაც ვაკე ალაგი თითქმის სრულებით არა აქვთ და ფერდობის ჭირნახულს ყოველთვის ნიადაგი ჩამორეცხამს ხოლმე. ამასთანავე აქ გამუდმებული სიცივეებია ასე, რო ქოშკას ზევით პური სრულებით არ მოდის, რადგანაც ვერ ასწრობს დამწიფებას. ამ სოფელს ზევით მხოლოდ ქერს თესვენ და იმასაც ვერ ასწრობენ თოელს.

სოფ. როკაში მივედით. აქ წინა დღეს მასკირკოტის (წმ. გიორგის)

*) იხილე „დროება", № 126

დღეობა ყოფილიყო, დიდი ერი მისულა, ხუთი ძროხა დაკლულა და მთელი ამ ხეობის მღედლები და ბლაღოჩინიც აქ დასწრებიან; დრო მშვიდობიანათ გაუტარებიათ და ეს ძრიელ გასაკვირველია, რადგანაც იშვიათად მოხდება ამისთანა საზოგადო ყრილობაში ოსებმა ერთი ოინი მაინც არი არ ჩაიდინონ....

—

შვიდ საათზე სოფ. ზღუბირს მივედით; სოფელი მშვენიერს მაღლობ ვაკეზე არის დაშენებული. ამ სოფელში ერთ ოსმა—ბიჩამ, რომელსაც ბაზაზის დუქანი აქვს გაღებული, მიგვიწვია შინ ჩაიზე. სახლში მშვენიერად იყო გაწყობილი; როგორ გასაოცრად არ მიმელო, რომ ამ ოსებთა შორის, ასე გაჩაღებული ჩაი, სუხრით, რძით, კარაქით და სხვა სამკაულებით გამართეს. ჩაი ძრიელ გემრიელი გვეჩვენა და მგონი ეს აქაური მშვენიერი და უმანკო წყლის მიზეზი იყო. ჩაის შემდეგ ორი ბოთლი წყალი შემოგვიტანეს; ეს ზელცერის წყალიაო; დაველიე თუ არა, ამანაც გამაოცა, ეთქვი: შენინგს აქაც უთოოდ ბუდკა აქვს გამართული, თორე საიდგან? მერე წამიყვანეს ამ წყლის სანახავად; იქაე ლიახვის ნაპირზე ფერდობის ძირში ერთი უშველებელი წყარო გამოდუღს და ისერის ნაპერწკლებს. რამდენიც სტაქანი უფრო შიგნით გავავსე, უფრო მეტი გაზი ჭქონდა, ასე რომ სწორეთ კახური ახალ-ახალი მაჭარივით პირსა ხუხამს, და მშვენიერი მჟავე გემო გრჩებათ პირში. ბევრი ვინატრე, ნეტავ ეს წყლები თფილისში მამცა, რომ მილიონების პატრონი შევიქმნე-მეთქი...:

ამ სოფელს ცოტა ზევით, უფრო ამაზედ უკეთესი მჟავე წყლებია, მაგრამ ყველაზედ უკეთესი და სასარგებლო წყლები სოფ. ედისაშია, აგრეთვე შესანიშნავია ამ ედისაში უშველებელი ტბა თევზით და ფრინველებით სავსე, რომლიდგანაც გამომდინარობენ დიდი და პატარა ლახვი. ამ ტბაში წყალი არსაიდგან არ ჩადის, მხოლოდ ბუნებითი წყაროები ამოდის და უშველებელი ტბა დგება.

იმედია, მომავალი რკინის გზა ამ წყლების გემოს თფილისელებსაც გააცნობს. ზემო-ხსენებული ექიმისავე გამოკვლევით, ეს მჟავე წყლები ზომიერათ არიან შემკულნი სოდათი, სომჟავით, რკინით და სხვ. ასე, რომ იქვე ვცადეთ, ერთ სტაქან ამ წყალში ლიმონის მარილი ჩაეყარეთ, მაგრამ სრულებით არ აადუღა, რადგანაც ამ გვარი სიმჟავე ზომიერათ აქვს. ამ წყლების საძკურნალო თვისება ხომ რაღა თქმა უნდა, საეჭო არ არი.

ი. ალხაზაშვილი

(მაგრძელება)

განცხადებანი

წალკოტი

თქმული

დავით გივიშვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

დაიბეჭდა და ისყიდება

თამარ საქართველოს

ბატონიშვილი

ისტორიული რომანი

გ. რჩეულოვისა.

თფილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

—

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—82



Aთასი პირი, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ მცენარეულგბითს ქინო-გლიცერინის პომადისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პომადა უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობის მცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს ქიმიის პროფესორისა ლანდგერიხტთან დანიშნულისა, შენაში, უ. ძლეიჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველს და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსველებილი თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქოშს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

უველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასაყვალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ფასი ბანკისა 2 მანეთი

ყოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმაროს ეს პომადა

პომადა

„PASTA EUGENIE“

ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Eugenie ისყიდება თფილისში ლანკოს მუსიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ვლადიკავკაზში — სეგალთან და სტავროპოლში პურილოვთან. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიცხოველე ეძლევა. უველაზე უფრო ეს პომადა იმათთვინ არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის შენის ქიმიის პროფესორი ძლეჩინსკი, და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

უველ პომადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დაღი, Aშურის სურათით და გამამგონის ხელის



ხელის პომადა

ეს პომადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმაობის შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრძა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თვის საღებავი—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

ტკაის ბალზამი—საშუალება მაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. (54—40)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა . .	—	—	—	—	-	68	-	38
გორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჭათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ჭუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ჭუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჭათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
გორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ — ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ოდესიდამ:

ფოთისკენ — ხუთშაბ., ნასად.3საათ.

სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ჭუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ჭუთაისს, რუსეთს —ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ჭუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს —ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

უველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

უველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 15 ნოემბ.

	ძან.	კაპ
ერთი მანეთი ქირა:		
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	84
პარიჟში $303^1/_2$ სანტიმი.	—	89
მსკონტი(სარგებლისფასი)	7	—
ბანკის ბილეთი 5%	93	25
მოგებიანი(პირველისესხი)	173	50
მოგებიანი (მეორე სესხი)	171	—
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	80	25
მოსკოვის (5%). . . .	81	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	155	—
ფოთი-თფილ.რკინ.გზის	—	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	480	—
კავკაზის და მერკურის. .	206	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	725	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	240	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	170	—

მაზანდა

თფილისი, 23 ნოემბ.

	მან	კაპ
პური შორაგალის ფთ.	1	30
ქერი ფუთი. . . .	—	80
ბამბა პრევნისა, ფუთი .	5	20
—ამერიკისა, ფუთი. .	5	60
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	6	—
—მარაქამისა ფთ. .	4	60
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ძონი, ფუთი. . .	4	—
ძონის საბოლო ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	12	—
ხორცი ძროხისა. ლიტ.	—	45
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	50
სპირტი, ვედრო. . .	6	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	—
— ფხვნილი ფუთი . .	5	90
ყავა გრგვალი ფუთი .	19	50
ზეთი ქუნჟუთისა ფთ.	6	20
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	6	70

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Ноября 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.